სესხის გამცემი სუბიექტი

შპს „ფინბიურო“-სთვის

(საიდენტიფიკაციო ნომერი: 419995599)

დაკისრებული ფულადი ჯარიმა

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სესხის გამცემი სუბიექტი შპს „ფინბიურო” (ს/კ 419995599, რეგისტრაციის ნომერი სგს-0120157) „სესხის გამცემი სუბიექტისთვის ფულადი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 27 სექტემბრის №218/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ე[1]“ და „ი“ ქვეპუნქტების შესაბამისად 3,000 (სამი ათასი) ლარით დააჯარიმა.

სესხის გამცემი სუბიექტი დაჯარიმდა მომხმარებელთა უფლებების დაცვის მოთხოვნების, კერძოდ, „ფინანსური ორგანიზაციების მიერ კრედიტის ამოღებასთან დაკავშირებული ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 17 თებერვლის №14/04 ბრძანებით დამტკიცებული კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 და მე-3 მუხლის მე-8 პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევისთვის (ორი შემთხვევა), ასევე საქართველოს ეროვნული ბანკის წერილობითი მითითებით განსაზღვრული მოთხოვნის დარღვევისთვის.